

## 5. აფხაზეთის რესპუბლიკის კანონი ` აფხაზეთის რესპუბლიკაში სახელმწიფო მმართველობის ზოგიერთი ორგანოს დაქვემდებარების შესახებ`

(...)

ეს კანონი ადგენს აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ზოგიერთი ორგანოს დაქვემდებარებას.

(...)

მუხლი 1. აფხაზეთის უშიშროების კომიტეტის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გამოტანილ იქნეს იგი აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს ორგანოების სტრუქტურიდან და დაექვემდებაროს აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.

მუხლი 2. რესპუბლიკაში განსახელმწიფოებისა და პრივატიზაციის ჩატარების ნორმალური პირობების უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო ქონებისა და პრივატიზაციის სახკომიტეტი გამოტანილ იქნეს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს ორგანოების სტრუქტურიდან და დაექვემდებაროს აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.

მუხლი 3. ითვალისწინებს რა ეკოლოგიური ვითარების გაუარესების ტენდენციასა და მის გასაუმჯობესებლად რადიკალური ზომების მიღებისა და რესპუბლიკის რეკრეაციული რესურსების დაცვის აუცილებლობას, გარემოს დაცვის სახკომიტეტი გამოტანილ იქნეს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს ორგანოების სტრუქტურებიდან და დაექვემდებაროს აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.

(...)

აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. არძინბა.

1992 წლის 5 მარტი.

(თ. ნადარეიშვილი, Геноцид в Абхазии, 1998, გვ. 58\_59. საკუთარი თარგმანი)